



ქალთა შესაძლებლობების გაფართოება

კონფლიქტის
ტრანსფორმაციაში
ახალი მიდგომების
გამოსამუშავებლად

2017



ქალთა შესაძლებლობების გაფართოება

კონფლიქტის ტრანსფორმაციაში ახალი მიდგომების გამოსამუშავებლად

ერთი წლის განმავლობაში (15.01.2017–15.01.2018) ფონდი „სოხუმი“ მუშაობდა პროექტზე „ქალთა შესაძლებლობების გაფართოება კონფლიქტის ტრანსფორმაციაში ახალი მიდგომების გამოსამუშავებლად“. მისი მიზანი იყო კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფი ქალების უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება მათი უფრო მაღალი საზოგადოებრივი როლისთვის, კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე გავლენისა და მდგრადი მშვიდობის შენებისთვის.

პროექტის თანახმად, სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ: ახალგაზრდა ქალები, რომლებმაც მიიღეს სამშვიდობო აქტივობების კუთხით საჭირო უნარები; ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც ჩართული არიან კონფლიქტის დარეგულირების პროცესში; სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც მოიაზრებიან მომხრეებად პროექტის მთავარი მიზნის მიღწევაში.

ორგანიზაციამ საპროექტო საქმიანობა განახორციელა დასავლეთ საქართველოში. პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი ქალებისა და ახალგაზრდების ჯგუფებთან. ტრენინგის ზოგიერთმა მონაწილემ დაწერა ესე, გოგონებმა ჩაატარეს ვორკშოპები თანატოლებთან. განხორციელდა კვლევა და გამოიცა ბროშურა „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, კონფლიქტის მოგვარების მიმართ მიდგომების ხელახლა გააზრება და ახალი ვექტორები მისი ტრანსფორმაციისთვის“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამის შემდეგ მოეწყო მრგვალი მაგიდეები კვლევის პრეზენტაციის მიზნით. პროექტის ფინალურ ნაწილში შედგა შეხვედრა კვიპროსზე, გაიმართა პრეზენტაცია თბილისში. მომზადდა და ეთერში გავიდა ფილმი პროექტის შესახებ.

ამჯერად გამოდის ჟურნალი, რომელიც ასახავს ყველა საპროექტო აქტივობას.



კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

პროექტის დირექტორი
ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი
მარი გელაშვილი

რედაქტორი
ლალი შენგელია

დიზაინი
ლია კოსტავა

მისამართი:

ქ. ქუთაისი,

მაგლობლიშვილის 6

ტელ: 27 29 02

ფაქსი: 27 13 68

ელფოსტა:

womansokhumi@gmail.com

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

რადგან მშვიდობა ხანგრძლივი პროცესია...

ახალი მიდგომები საერთო ხედვებისა და ინტერესების გათვალისწინებით

ხათუნა გოგუა პროექტის ასისტენტი

სამშვიდობო საქმიანობას არასოდეს გასდის ვადა, რადგან მშვიდობა პროცესია, ხანგრძლივი პროცესი, რომელიც სისტემატიურ შრომას, აქტიურობას და ჩართულობას მოითხოვს. ფონდი „სოხუმი“ ამ სტრატეგიით უკვე 20 წელია მუშაობს. იცვლებიან თაობები, მთავრობები... ერთადერთი, რაც არ იცვლება, ორგანიზაციის სტრატეგიული კურსია, რომლის მთავარი ვექტორი - მშვიდობა - დაარსების პირველივე წელს განისაზღვრა.

ახალი მიდგომები, ახალი გზების ძიება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციისათვის - ამ მიზანს ემსახურებოდა სამდღიანი ტრენინგი, რომელიც ფონდი „სოხუმის“ ორგანიზებით ქუთაისში, სასტუმრო „დისქავერში“ გაიმართა და პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა.

ტრენინგის ფორმატიდან გამომდინარე, ორი დღის განმავლობაში ცალ-ცალკე იმუშავეს ექვსი რეგიონის (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი) წარმომადგენლებმა, ქალთა და ახალგაზრდების ჯგუფებმა კონფლიქტის ანალიზსა და ქალთა სამშვიდობო ინიციატივებზე. მესამე დღეს ორივე ჯგუფი გაერთიანდა, რათა განეხილა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კონტექსტში არსებული მოლაპარაკებათა ფორმატი.

ახალგაზრდების ჯგუფი ინტეგრირებული იყო და მასში დევნილებთან ერთად ადგილობრივებიც მონაწილეობდნენ. დასაწყისშივე გაირკვა, რომ მონაწილეებს სხვა დროს ასეთი ფორმატით ქართულ-აფხაზურ

თემაზე მსჯელობის შესაძლებლობა არ ჰქონიათ. აქედან გამომდინარე, თემისადმი დაინტერესება თავიდანვე მაღალი იყო.

- მე არ ვარ დევნილი, მაგრამ მინდა, მეტი ვიცოდე ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე. დღეს ამის შესაძლებლობა მომეცა და დიდი ინტერესით ვისმენ ინფორმაციებს. - ნინო ხუბულავა.

- ამ თემაზე ნაკლებად საუბრობენ სკოლაში, უნივერსიტეტში. მხოლოდ იმ ადამიანებისთვის გახდა საინტერესო, ვისაც ეს ეხება. - თეა მეძველია.

- არ დავბადებულვარ აფხაზეთში, მაგრამ მეც მინდა რაიმე გავაკეთო ჩემი დევნილი მეგობრების დასახმარებლად. ამისთვის კონფლიქტის ისტორიას უნდა ვიცნობდე. ამ ტრენინგმა ჩემში გარდატეხა მოახდინა. - ნანა ზირაქაძე.

- არ ვარ პოლიტიკოსი, არც გავლენიანი ფიგურა, მაგრამ მაქვს ვალდებულება, ვიფიქრო: რა შეიძლება გავაკეთო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის. - მარი ბალანჩივაძე.

ასეთი ფრაზები ხშირად ისმოდა ტრენინგზე. ახალგაზრდების მოსაზრებით, დროსთან ერთად ქართულ-აფხაზური თემა ნაკ-

ლებად პრიორიტეტული ხდება როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე საზოგადოებისთვის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ქვეყანაში უკვე ახალი საჭიროებებია. მიაჩნიათ, რომ ნაკლებია საერთაშორისო ინტერესი, რადგან მსოფლიოში სხვა ცხელი ნერტილები გაჩნდა.

თემის მიმართ ინტერესი განსაკუთრებული იყო ქალების ჯგუფში. მონაწილეები საკუთარი ისტორიებით გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას:

- აფხაზეთი ჩემი სამშობლოა, კონფლიქტმა მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა, ამდენი წლის შემდეგ საინტერესო იყო კონფლიქტის ფესვების გაცნობა. ბევრი რამ გადავაფასე. - რუსუდან მურღულია.
- ახლა, როცა ემოციები დამცხრალია, ყველაფერს სხვა თვალთ ვუყურებ. ორივე მხარის მიერ დაშვებული შეცდომები დავინახე. ამ გადასახედიდან, ბევრი რამის შეცვლა იყო შესაძლებელი. - თეა შონია.
- ტრანსფორმაციაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ფიქრი, როცა ყველაფერს გააანალიზებ. მიღებული ინფორმაციები ჩემთვის ძალიან საინტერესოა. - მანანა ხუბუა.

პარალელურად, სხვადასხვა ჯგუფში მიმდინარე ტრენინგზე საერთო ის იყო, რომ მონაწილეებს სურდათ მოესმინათ ინფორმაციები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ფესვებზე, მიმდინარეობაზე. ორივე ჯგუფში მონაწილეებს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ეს არ იყო მხოლოდ დევნილების საკითხი. ეს იყო საერთო თემა, რომლის ირგვლივაც ყველას უნდა ეფიქრა, ესაუბრა.

მონაწილეები ცალსახად აფიქსირებდნენ, რომ აფხაზეთის კონფლიქტზე მათი ინფორმირების დონე დაბალია. შესაძლებლობა მიეცათ, დინამიკაში განეხილათ როგორ დაიწყო და განვითარდა კონფლიქტი აფხაზეთში. ორივე მხარის პოზიციები გააანალიზეს და კარგად დაინახეს საფრთხეები, რომელთაც აფხაზური მხარე ქართული მხარისგან გრძნობს და რომელიც ურთიერთობების დარეგულირებას აფერხებს.

რას ნიშნავს ტრანსფორმაცია, რამდენად არის შესაძლებელი ამდენწლიანი პაუზის შემდეგ შეცვალო რამე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში, საიდან უნდა დაიწყოს ცვლილებები? ტრენინგის მონაწილეები იმიტირებული წარმოდგენებით, როლური თამაშებით, ინტერაქტიული სავარჯიშოებით ცდილობდნენ ახალი, კრეატიული მიდგომების პოვნას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის.

განსაკუთრებით ემოციური გამოდგა მონაწილეებისთვის მშვიდობისმყოფელ

ტრენინგის
პირველი
დღე
და
სიახლეების
მოლოდინი



ტრენინგის მონაწილეები ემოციურებით გამოირჩევიან

ქალთა ისტორიების გაცნობა. ეს ისტორიები რამდენიმე წლის წინ შეაგროვა ფონდმა „სოხუმი“ და ბროშურად აკინდა.

ყველას განსაკუთრებით დაამახსოვრდა მშვიდობისმყოფელი ქალი შრი-ლანკიდან, ვისაც დარმადასა და მისი სიტყვები: „დედის ხმას დიდი გავლენა აქვს, როდესაც ამბობს: არა სისხლისღვრას!“

მონაწილეებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის სამაგალითო გახდა მაღალა იუსუფზაის ისტორიის გაცნობა. თალიბანური კანონის მიხედვით, გოგონებს ეკრძალებათ სკოლაში სიარული. მაღალა იბრძოდა იმისთვის, რომ არ დახურულიყო სკოლები, გოგონებს მიეღოთ განათლება. ამისთვის ის ერთხელ სკოლის ეზოში დაცხრილეს ცეცხლსასროლი იარაღით. გადარჩა, გამოჯანმრთელდა და ისევ გააგრძელა ბრძოლა გოგონების განათლების უფლებებისთვის.

16 წლის პაკისტანელი გოგონა, რომელზეც ფონდის მიერ გამოცემულ ბროშურაში ვნერდით, ერთი წლის შემდეგ, 2014 წელს, ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა, ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატი.

რეალურმა ისტორიებმა მშვიდობისმყოფელ ქალებზე მონაწილეებს სტიმული მისცა, რომ იფიქრონ და ამ ქალებთან ერთად გაიარონ გზა, რომელიც მშვიდობამდე მიდის.

ორივე თაობის მონაწილეები საკუთარ განწყობებს დისკუსიებში გამოხატავდნენ. მათი აზრით, მშვიდობისმყოფელობა ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის გასაღებია, რომელიც ყოველთვის იძლევა საშუალებას, მხარეები სინათლისკენ გაიყვანოს. მშვიდობისმყოფელობას არ აფერხებს წინააღმდეგობები, პირიქით - აძლიერებს, რადგან ერთადერთი და შეუცვლელი გზაა მშვიდობისკენ.

საერთო შეფასებისას, ტრენინგის მონაწილეები ტრანსფორმაციის აუცილებლობაზე საუბრობდნენ.

ანი ქუთათელაძემ, ტრენინგის ერთერთმა მონაწილემ, აღნიშნა, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე მხოლოდ



ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდა: „მყოფი დევნილი კლასელები, სამწუხაროდ, არც მათ არა აქვთ ინფორმაცია აფხაზეთზე. იციან, რომ მათი მშობლები იქ დაიბადნენ. კონფლიქტიდან ამდენი წლის შემდეგ ტრანსფორმაცია იქნებ უკეთესიც იყოს. ახალი ადამიანები, ახალი თაობა მოდის. ვინ იცის, იქნებ მათ ურთიერთობაში ახალი მოდელი გაჩნდეს“.

მარი ჩერქეზია დევნილია, აფხაზეთზე მხოლოდ სხვისი მონაცემებიდან იცის. მისი აზრით, კონფლიქტის ტრანსფორმაცია არასოდეს არ არის გვიან. მერე რა, რომ აქ დაბადებული თაობაა, მერე რა, რომ აფხაზეთზე ბევრი არაფერი იცის. აცხადებს, რომ ცვლილება ყოველთვის შეიძლება დაინყოს, თუ ორივე მხარე ამის მომხრე იქნება.

ქეთი კუჭავას აზრით, მონაწილეებს როლურმა სავარჯიშოებმა აფხაზური მხარის პოზიციების და მოთხოვნების გაზიარების შესაძლებლობა მისცა. ამბობს, რომ

არის შეხების წერტილები ქართველებსა და აფხაზებს შორის და საკითხები, რომელთა ირგვლივაც შესაძლებელია დიალოგის გაფართოება.

ქალების ჯგუფში ხშირად მეორდება მოსაზრება, რომ საჭირო ინფორმაციები მიიღეს კონფლიქტის ქრონოლოგიაზე, რის საფუძველზეც ანალიზი უფრო მარტივი გახდა.

„როლური თამაშისას ჩვენ შევეცადეთ, უფრო მეტად გავგვეგო მეორე მხარისთვის, მათი პოზიციების არსს ჩავწვდით და მათი საჭიროებები გავიაზრეთ. ინფორმაციის მიწოდება ანალიზის საშუალებას იძლევა. კარგად ვნახეთ ორივე მხარის შეცდომები კონფლიქტის დასაწყისში და შემდგომ პერიოდში. გამოჩნდა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, როგორ შეიძლება გაგრძელდეს დიალოგი, რა საკითხები შეიძლება გახდეს ახალი მოლაპარაკებების დასაწყისი, - ამბობს თამუნა ჯიმშელიშვილი.



ტრენინგის ყოველი ეტაპი აქტიურია



ახალგაზრდული და ქალთა ჯგუფები ბოლოს ერთიანდებიან და ერთობლივად აგრძელებენ მუშაობას. მესამე დღის მუშაობის მიზანი ქართულ-აფხაზური მხარეების მოლაპარაკებათა ფორმატის გაცნობაა: როგორ მიმდინარეობდა დიალოგი 1992 წლიდან. რა ახალი რეალიები გაჩნდა 2008 წლიდან და როგორ განვითარდა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესი. ქრონოლოგიურად იყო გარჩეული წარმატებული და წარუმატებელი შეხვედრები, ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობები კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის.

თეორიული ნაწილი პრაქტიკული სავარჯიშოთი გაგრძელდა. მონაწილეები „სვოტ-ანალიზის“ მეთოდით შეეცადნენ განეხილათ, არსებული რეალობიდან გამომდინარე, რა პერსპექტივები არსებობს კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის. ქართული მხარის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოყენებით ჯერ კიდევ არსებულ, გამოუყენებელ შესაძლებლობებზე, ახალ მიდგომებზე იფიქრეს.

ტრენინგის დასასრულს, მონაწილეების,

სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლების განწყობა ერთ მთლიან პოზიციაში გაერთიანდა.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაცია ნიშნავს მის ხელახალ ანალიზს, დინამიკაში ყოველი პროცესის ხელახლა გაცნობიერებას, რადგან მისი დაწყებიდან დღემდე არსებული პაუზა იძლევა საშუალებას, გადაიხედოს ის საკითხები, რომლებიც წლების წინ ვერ დაიძრა, ან თუნდაც ჩიხამდე მიგვიყვანა.

მონაწილეთა პოზიციით, ტრანსფორმაცია, პირველ რიგში, საკუთარი ცნობიერებიდან უნდა დაიწყოს. საზოგადოებაში უნდა შეიქმნას განწყობა, რომ დიალოგი ტრანსფორმაციის დასაწყისია. სწორი ინფორმირება კონფლიქტზე, ხელახალი ანალიზი შექმნის გარემოს, სადაც დესტრუქციული კონფლიქტი შეიძლება კონსტრუქციულად გადაიქცეს. სადაც არსებობს მეტი სივრცე დიალოგისა და მოლაპარაკებებისთვის. სადაც ჩნდება ახალი მიდგომები საერთო ხედვებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

სამასსოვრო ფოტო: ტრენინგის ყველა მონაწილე



ახალგაზრდების სამშვიდობო მისია

დასავლეთ საქართველოში 10 ვორკშოპი ჩატარდა

ენიო ჭაბუკიანი
პროექტის ასისტენტი

ახალგაზრდები არა მარტო თვითონ გაეცნენ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს, მშვიდობის-მყოფელთა ისტორიებს, დაფიქრდნენ კონფლიქტის ტრანსფორმაციის გზებზე, არამედ სასაუბროდ გამოიწვიეს თანატოლები. ტრენინგის შემდეგ მონაწილე გოგონებმა მიიღეს საშინაო დავალება: საკუთარ რეგიონებში ვორკშოპების ჩატარება. ეს იყო ერთგვარი სამშვიდობო მისია, რომელიც მათ წარმატებით შეასრულეს.

**დასავლეთ საქართველოს
ქალაქებსა და სოფლებში 10
ვორკშოპი ჩატარდა:**

ხონში - 2

ფოთში - 1

**კოკში (ზუგდიდის
მუნიციპალიტეტი) - 2**

წყალტუბოში - 2

ქუთაისში - 2

თერჯოლაში - 1

**ვორკშოპებში მონაწილეობა
მიიღო 198 ახალგაზრდამ.**

**ანუ - 12 ახალგაზრდამ 198
ახალგაზრდას გადასცა სამშვი-
დობო განწყობა და პროცესში
აქტიურად ჩართვის სურვილი.**

ეს პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებულია დამო-

უკიდებელი მუშაობა მსგავს თემებზე. მეორეც, ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობს დევნილი და ადგილობრივი ახალგაზრდების ინტეგრაციას.

ვორკშოპებზე იყო აქტიური დისკუსიები, აზრთა სხვადასხვაობა, სამშვიდობო ინიციატივები. მუშაობის რამდენიმე საათი სწრაფად გადიოდა და უამრავ საფიქრალს უტოვებდა მონაწილეებს, რომლებიც ვორკშოპების ბოლოს ამბობდნენ:

„როდესაც ჯგუფურ სამუშაოში მოცემული იყო ქალების ჩართვა მოლაპარაკების პროცესში, საკუთარი თავი დავინახე ძალიან ნათლად, მომეწონა ჩემი როლი და მეც სიამოვნებით ჩავერთე.“

„მინდა გავხდე უფრო აქტიური, რომ შემეძლოს მსგავს მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობის მიღება.“

„ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო იმის გაგება, რომ ქალები აქტიური მშვიდობის-მყოფელები არიან. მართლაც ამოუწურავია მათი შესაძლებლობები. ეს დიდ სტიმულს მმატებს - მეც მინდა, ვიყო ასეთი ქალების რიგებში.“

„ვორკშოპმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დავრწმუნდი, რომ ჩემს თაობას დიდი როლის შესრულება შეუძლია მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარებაში, თუ მსგავსი ღონისძიებები ჩატარდა უფრო მასშტაბურად.“

„ორსაათიანი სრული ჩართულობა მუშაობაში, სცენების დადგმა მოლაპარაკებების თემაზე, ჯგუფური სავარჯიშოები

ფრაგმენტები ესედან

რუსუდან მურღულია

ტრენინგის მონაწილე (სენაკი)

უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყანა ინტენსიური საქართველოს დიალოგების თემაა. ვიდრე ეს პროცესი ცოცხალი, მოქმედი, კარგი მომავლის იმედი რეალურია. კარგი მომავალი კი ჩვენთვის ერთიანი საქართველოა აფხაზეთიან-შიდა ქართლიანად. ამას მშვიდობიანი მოლაპარაკებებით უნდა მივაღწიოთ.

ქართველი და აფხაზი საზოგადოების გამთიშავი პოლიტიკური ძალა ცდილობს და ყოველთვის ეცდება ამ ორი საზოგადოების დაპირისპირების გაღრმავებას, მაგრამ ამას სამოქალაქო აქტიურობამ ხელი უნდა შეუშალოს.

უნდა გავითვალისწინოთ აფხაზი ხალხის ამჟამინდელი განწყობა, მათი მოლოდინის არგამართლება; მათ ვერ მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ვერ მიიღეს ის, რისთვისაც ამდენი სისხლი დაიღვარა. ამან უკვე გამოიწვია საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილება, რაც არ უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა და დროულად შევთავაზოთ ის, რასაც მესამე პოლიტიკური ძალა ვერ და არ მისცემს - უსაფრთხოება, ჯანდაცვა, განათლების, ტურიზმის განვითარება. არც ის უნდა დაგვაკინწყდეს, რომ აფხაზი საზოგადოების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ სხვადასხვაგვარია: აფხაზთა ერთი ნაწილი ქართველების დაბრუნების კატეგორიული წინააღმდეგია, მეორე ნაწილი კეთილგანწყობილია ჩვენს მიმართ და სურს საქართველოს წიაღში დაბრუნება, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ აცხადებს, ლალატში ჩაუთვლიან. დიალოგის დროს აფხაზთა ეს სხვადასხვა განწყობა გასათვალისწინებელია.

- ეს ყველაფერი ჩემთვის ახალი და ძალიან საინტერესო იყო. მე შევძელი კომპლექსების დაძლევა და თავისუფალი სივრცის შეგრძნება“.

„ძალიან მნიშვნელოვანია მოლაპარაკების პროცესი, სადაც ორივე მხარე კომპრომისზე მიდის... ვორკშოპზე მუშაობისას სწორედ ეს განწყობა იყო და ამავე დროს - საკუთარი შესაძლებლობების შეფასება.“

„ვერ აღვწერ, რა განცდა დამეუფლა, როცა მსოფლიოში ცნობილ მშვიდობისმყოფელ ქალთა ისტორიებს გავეცანი. ეს ისეთი საინტერესო იყო, იმდენად სავსე ვიყავი ემოციურად, სურვილი გამიჩნდა, ნაცნობებისა თუ უცნობებისთვის გადამეცა ჩემი განწყობა და სიახლე, რის გამოც ასეთ კმაყოფილებას ვგრძნობდი“.

„რალა დავმალე და, ვფიქრობდი, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არ არის ჩემთვის საინტერესო თემა. ჯერ ერთი, ბევრი დრო გავიდა, არაფერი იცვლება. თან მე ხომ აფხაზეთიდან არ ვარ? ვორკშოპზე მაინც წავედი... კიდევ კარგი, რომ წავედი. ეს იყო სასწაულად დამუხტული ორი საათი. ასეთი ინტერესი, ასეთი ჟინი არასოდეს მიგრძენია. მრცხვენია, რომ ეს ჩემს თემად არ მიმაჩნდა. სულ სხვა დამოკიდებულება მაქვს უკვე და არასოდეს გამოვტოვებ ამ თემაზე გამართულ არც ერთ შეხვედრას.“

ეს კომენტარები კარგად გამოხატავს ვორკშოპების არსს, მიზანს, მისი მონაწილე ახალგაზრდების დამოკიდებულებაში მიღწეულ ცვლილებებს.

ვორკშოპები ჩაატარეს აქტიურმა ახალგაზრდებმა: ნინო ხუბულავამ, მარიამ ჩერქეზიამ (ქუთაისი), მარიამ ჩარგალიშვილმა, თეა მეძველიამ (ხონი), ქეთი კუჭავამ, ანი ქუთათელაძემ, მარიამ ბალანჩივაძემ (წყალტუბო), ქეთი ჩებანმა, ანა ზირაქაძემ (ფოთი), ნინო მორგოშიამ, ტატა ნარმანიამ (კოკი), თამარ იაკობაშვილმა (თერჯოლა). ზოგ მათგანს ჰქონდა აუდიტორიასთან მუშაობის გამოცდილება, ზოგისთვის კი დებიუტი აღმოჩნდა. ამის მიუხედავად, ყველა ვორკშოპი ერთნაირად საინტერესო იყო გულახდილო-

ვორკშოპებზე გატარებული განსაკუთრებული დრო



ბით, კონფლიქტის მიმართ ინტერესით და, რაც მთავარია, სურვილით, რაიმე შემატო პროცესს.

ახალგაზრდების მიერ დამოუკიდებლად ჩატარებულმა ვორკშოპებმა დიდი სტიმული მისცა მოსწავლეებს, სტუდენტებს, სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ახალგაზრდებს. ისინი მზად არიან, ჩაერთონ ახალგაზრდულ პროექტებში, მეტი იაქტიურონ.

რაც მთავარია, ამ შეხვედრებზე იგრძნობოდა ის, რომ საზოგადოებრივი პროცესები არ უნდა მიმდინარეობდეს ახალგაზრდების მიღმა, არ შეიძლება გულგრილობა, იმის თქმა, რომ მაინც არაფერი შეიცვლება... პირიქით, ყველა უნდა ცდილობდეს თავისი სათქმელის გამოხატვას, გავლენის მოხდენას თავის გარემოცვაზე, თუნდაც მცირეოდენი წვლილის შეტანას საერთო საქმეში.

რა მოხდა ტრენინგის და ვორკშოპების შემდეგ?

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის განხილვამ, მის ტრანსფორმაციაზე მუშაობამ სტიმული მისცა მარიამ ჩარგალეიშვილს (ხონი). მარიამი ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. მან საკონკურსოდ აიღო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის თემა, რამაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია. სამოტივაციო წერილში ყურადღება გაამახვილა არაფორმალური განათლების აუცილებლობაზე და ფონდი „სოხუმის“ მუშაობაზე ამ მიმართულებით. ის გახდა პირველი პირველკურსელი, რომელმაც მსგავსი ფორმატის კონკურსში გამარჯვა.

ანი ქუთათელაძემ (წყალტუბო) ტრენინგის შემდეგ პროფესია შეიცვალა და გადავიდა კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე - მან დაინახა საკუთარი თავი მოლაპარაკებების პროცესში და იცის, რომ ამას ძალიან დიდი მუშაობა სჭირდება.

ეს ცვლილებების მცირე ნაწილია...

ფრაგმენტები ესეებიდან

ნატო ქარანია

ტრენინგის მონაწილე (სენაკი)

ქალის შესაძლებლობები ამოუწურავია. იმ ადამიანებს, რომლებმაც აფხაზ მოსახლეობასთან ცხოვრების ნახევარი გავატარეთ, შეგვწვეს უნარი აფხაზ ქალებთან ურთიერთობის გაგრძელების. ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენს შვილებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის სტიმული.

...ცხოვრებაში არის ისეთი შთამბეჭდავი მომენტები, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე ნათელ კვალს ტოვებენ მეხსიერებაში.

სოხუმი და დაბრუნება - უნეტარესია ეს ორი სიტყვა.

ქეთევან ჩიბანი

ტრენინგის მონაწილე (ფოთი)

დღეს საქართველო და ქართველი ერი იმ დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ, რომელიც ყველას ტკივილს აყენებს. ვდგავართ ჩატეხილ ხიდზე ორ მხარეს შორის. ისე ჩანს, თითქოს შევეგუეთ ამ ყველაფერს და გავჩუმდით.

...არ არის არანაირი შედეგი, მცირედიც კი. დღეს ყველა უნდა გავერთიანდეთ და შევეცადოთ, შევცვალოთ ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება.

კონფლიქტის მოგვარება ადვილი არ არის, თუმცა ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ გავჩერდეთ და შევეგუოთ იმ მდგომარეობას, რომელშიც უკვე 25 წელია ვართ.

...დღეს თითქოს სრულ უმოქმედობაში იმყოფება ქართველი ერი და მოჭრილია გზა, რომელსაც აფხაზეთამდე მივყავართ, მაგრამ მე მჯერა, რომ გამოიღებს შედეგს ხალხის შრომა და მონდომება!

ძალა ერთობაშია!

სამოქალაქო დიალოგის დასაწყისი

მრგვალი მაგიდების ციკლი დასავლეთ საქართველოში

გურანდა გვანცელაძე
პროექტის ასისტენტი

სამოქალაქო დიალოგის ახალი სივრცის შექმნისათვის მრგვალი მაგიდების ციკლი გაიმართა დასავლეთ საქართველოს ხუთ ქალაქში: ქუთაისში, სენაკში, ზუგდიდში, წყალტუბოში, ფოთში. მათში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობის, დევნილი და ადგილობრივი თემის, მედიის წარმომადგენლებმა, ახალგაზრდებმა.

შეხვედრებზე აქცენტი გაკეთდა ქართული და აფხაზური საზოგადოებების განვითარებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ახალი პირობების ჩამოყალიბებაზე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების მიმართ ახალ მიდგომებსა და მოლაპარაკებათა პროცესზე - არსებული რეალობებისა და პოლიტიკური კონტექსტის გააზრებით. გამოიკვეთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის, განსაკუთრებით ქალთა ჯგუფების პოზიციები კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული ახალი ხედვების გამოვლენის თვალსაზრისით.

შეხვედრებზე გაიმართა ფონდი „სოხუმის“ კვლევის „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, კონფლიქტის მოგვარების მიმართ მიდგომების ხელახალი გააზრება და ახალი ვექტორები მისი ტრანსფორმაციისთვის“ პრეზენტაცია და მიღებულ იქნა მრგვალი მაგიდის მონაწილეთა უკუკავშირი.

პრობლემა შეკრებილი საზოგადოებისათვის აქტუალური და მტკივნეული აღმოჩნდა. აღინიშნა: რომ არა არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევა, ეს თემა მივიწყებისკენ მიდის, სამოქალაქო საზოგადოებას უკვე ჩამოუყალიბდა დამოკიდებულება, რომ არაფერი შეიცვლება და მათ ჩართულობასაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

დაფიქსირდა, რომ მსგავსი მიმართულებით

მუშაობა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ შეიქმნას უსაფრთხო პლატფორმა კონფლიქტის მხარეების ქალთა აქტიური ჯგუფების დიალოგისთვის ჰუმანიტარულ პრობლემებზე და მათი მოგვარების ეფექტურ გზებზე; გაიზარდოს ქალთა როლი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხებზე გადწყვეტილებების მიღების პროცესში; ჩამოყალიბდეს პოზიტიური საზოგადოებრივი აზრი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე, მათ შორის მდგრადი მშვიდობისა და ადამიანური უსაფრთხოების საკითხებში.

მონაწილეთა აზრით, აუცილებელია საზოგადოებაში გავრცელდეს ინფორმაცია ქალთა დიპლომატიის წარმატებული გამოცდილების შესახებ, რაც წინადადგმული ნაბიჯი იქნება კონფლიქტების პოზიტიური ტრანსფორმაციის გზაზე.

კვლევის პრეზენტაციამ დამსწრე საზოგადოებას საშუალება მისცა, არა მარტო ინფორმაცია მიეღო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე, არამედ დეტალურად გაცნობოდა კონფლიქტის ფესვებს და მის შედეგებს; გაეგო მხარეთა პოზიციები და გაეცნობიერებინა ის საშიშროება, რის წინაშეც დგება აფხაზური მხარე და რაც აფერხებს კონფლიქტის დარეგულირებას.

მონაწილეთათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ინფორმაცია 1992 წლიდან მოყოლებული, მოლაპარაკებების სხვადასხვა ფორმატის და ყველა შეთანხმების შესახებ. ხაზგასმულ იქნა წარუმატებელი მცდელობები, რომლებიც ამ დროის მანძილზე დაფიქსირდა.

ამ ინფორმაციის საფუძველზე მათ საშუა-

ალება მიეცათ, რეალურად შეეფასებინათ კვლევის ფარგლებში შემუშავებული ახალი მიდგომები, რაც კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას შეუწყობს ხელს.

მონაწილეთა მხრიდან აღინიშნა, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია იმ პროცესებზე, რომლებმაც გამოიწვია კონფლიქტის მოგვარების გაჭიანურება და ვერ აანალიზებდნენ შეცდომებს, რომელთა შედეგებსაც ვიმკით. მათი თქმით, თითქოს გვერდიდან შეხედეს განვლილ გზას და კვლევის ავტორთან ერთად გაიაზრეს მხარეების მიერ დაშვებული შეცდომები.

„მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიის აქტიური განხილვა, რათა გავაანალიზოთ დაშვებული შეცდომები და განვლილი გზისა და გამოცდილების გათვალისწინებით ვეცადოთ, მოვიზიდოთ საზოგადოების აქტიური ნაწილი და მოხდეს ახალი მიდგომების დანერგვა კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის“. - ნატო ქარაია (სენაკში გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილე).

მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა მხრიდან ბევრი ინიციატივა წამოვიდა, მაინც იგრძნობოდა, რომ ნებისმიერი ინიციატივის განხორციელებისას წინააღმდეგობა აღიქვამენ კონფლიქტში არსებულ მესამე მხარეს, რომელიც პროცესის განუყოფელი ნაწილია და მის მართვას ახერხებს. სწორედ ამას მიიჩნევენ მთავარ საშიშროებად კონფლიქტის დარეგულირებასა და სტაბილურობის მიღწევაში. თუმცა ვერ დავტოვეთ ყურადღების მიღმა იმას, რომ ყველა ერთხმად აღიარებდა: მიუხედავად გარე ფაქტორებისა, საზოგადოებრივი აზრი ისე უნდა გაძლიერდეს, რომ მას უსმენდნენ და ითვალისწინებდნენ. საზოგადოებრივი აზრი უნდა გახდეს წამყვანი პოლიტიკის ფორმირებაში კონფლიქტის დარეგულირების კუთხით.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგ-

ვარებაში ქალთა ჩართულობის ხელისშემშლელ ფაქტორად დასახელდა ის, რომ ზოგადად ამ პრობლემის მიმართ შენედა ინტერესი. ადამიანები შეეგუენ იმას, რომ არაფერი იცვლება. დევნილთა დიდი ნაწილისთვისაც, ყოველდღიური საზრუნავის და უამრავი ყოფითი პრობლემის გამო ეს თემა თითქოს არ არის პირველხარისხოვანი. ამიტომ აუცილებელია მუდმივი მუშაობა საიმისოდ, რომ პრობლემა აქტუალური იყოს, არ მოდუნდეს არც მთავრობა, არც სამოქალაქო საზოგადოება. არასამთავრობო სექტორი უნდა იყოს ის სეგმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს სახალხო დიპლომატიის გააქტიურებას ამ მიმართულებით. მნიშვნელოვნად დასახელდა ახალგაზრდების რესურსის გამოყენება:

„ამ საკითხთან დაკავშირებით ახალგაზრდებთან აქტიურად მუშაობა, პროცესების განხილვა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დინამიკაზე საუბარი, მიგვიყვანს იქამდე, რომ ახალგაზრდებს ექნებათ მოტივაცია, იფიქრონ კონფლიქტის ტრანსფორმაციის ახალ ხედვებზე და, რაც მთავარია, ამ ამპლუაში დაინახონ თავიანთი თავი“. - დალილა ჩიქავა (ზუგდიდში გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილე).

საუბარი შეეხო იმას, რომ საზოგადოებას მიაჩნია, რომ კონფლიქტების მოგვარების სტრატეგია არ არსებობს. მონაწილეები ემხრობიან პირდაპირ კომუნიკაციას, მსჯელობას და ურთიერთობას უშუალოდ კონფლიქტის მხარესთან. საინტერესოა ახალგაზრდების აზრიც:

„სტუდენტები ბევრ დისკუსიას ვესწრებით და აფხაზეთის თემა ნაკლებად აქტუალურია. გამოდის, რომ ეს საკითხი მხოლოდ მათთვისაა მნიშვნელოვანი, ვისაც უშუალოდ შეეხო კონფლიქტი. აი, ეს არ უნდა იქნეს დაშვებული. ახალგაზრდების აქტიური

პრეგალი პაგიღები: დისკუსიები, აწრთა სხვადასხვობა

სენაპი



ფოთი



ზუგდიდი



წყალტუბო



ქუთაისი



ფრაგმენტები ესეიდან

მარიამ ჩარბაღლიშვილი ტრენინგის მონაწილე (სონი)

მერე რა, რომ არასდროს დამიდგამს ფეხი აფხაზეთის მიწაზე და არასდროს გამივლია ენგურის ხიდზე. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეც არ მიჩქარდება გული აფხაზეთის ხსენებაზე...

გამოსავალი სურვილიაო, სადღაც ნავიკითხე. განა ამ წლების განმავლობაში სურვილი არ გვამოძრავებდა? რად გვინდა მხოლოდ სურვილი, თუ რეაგირება არ მოყვა? გამოსავალი ერთიანობაა, მოტივაცია და შეუგუებლობა. დიახ, შეუგუებლობა ვითარებისა, რომელიც დღეს არსებობს.

დროის კარგვაა განხილვები, ვინ იყო დამნაშავე, რატომ ან როგორ? ეს ხომ მოხდა, მოხდა და ვეღარ შევცვლით. დრო მიდის. სიტუაცია კი უცვლელი რჩება. ამიტომ საჭიროა კომპრომისი, შეცდომების აღიარება და სწრაფვა ერთიანი და ნათელი მომავლისკენ.

ახალგაზრდობას შეუძლია ცვლილებები. იმიტომ რომ აქვს ინფორმაციის მიღების უფრო ფართო არეალი, განათლებულია, დაინტერესებულია, შეუძლია კომპრომისი, კონსენსუსი და, რაც ყველაზე მთავარია, იცის თავისუფლების ფასი...

ჩვენს აფხაზ თანატოლებს უნდა დავანახოთ, რომ არ ვართ მტრები, რომ გვიყვარს ისინი და გვინდა მშვიდობა. ვანახოთ, სად მივდივართ, რა გვინდა, როგორია ჩვენი კურსი და რას მოუტანს მათ ჩვენთან ურთიერთობა.

მთავარი გზა მოლაპარაკებები და ურთიერთობების დამყარებაა. ასე ვხედავ მე კონფლიქტის ტრანსფორმაციას, ვხედავ, ვიცი და მჯერა, რომ სწორედ ეს მოგვიტანს შედეგს, რომელსაც ასე ველოდებით.

რწმენით მთებს დაძრავო, ერთხელ ერთმა მნიშვნელოვანმა ადამიანმა მითხრა. მას შემდეგ მჯერა რწმენის ძალის...

ნაწილი ისე უნდა აენტოს პრობლემის გადაჭრის გზების ძიებით, როგორც მე ავენთე დღეს ამ საკითხზე ფიქრით“. - ნინო გაგუა (ქუთაისში გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილე).

სწორედ ამიტომ თვალსაჩინო იყო უარყოფითი დამოკიდებულება უნაყოფო ოფიციალური სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესის მიმართ, რომელიც მხარეთა კომპრომისებს არ ემყარება. მკვეთრად ჩანდა ჟენევის მოლაპარაკებების პროცესის უშედეგობაც. ის, რომ არ არის გათვალისწინებული ახალი რეალიები და შექმნილი პოლიტიკური კონტექსტები. მრგვალ მაგიდებზე გამოიკვეთა, რომ მიესალმებიან სამოქალაქო დიპლომატიის როლს, აღიარებენ მის გავლენას, მაგრამ აღნიშნავენ არასაკმარის რესურსებს და მის გააქტიურებაში არასამთავრობო სექტორის როლს ხედავენ.

მონაწილეთა მხრიდან მთავარი რეკომენდაცია იყო ის, რომ ორ ხალხს შორის წყნის და წინააღმდეგობების მუდმივი შესენება ხელს უშლის ნებისმიერი დიალოგის წარმართვას და მხარეებს შორის ნდობის შენებას.

მრგვალი მაგიდების ჩატარების უმთავრესი შედეგი: მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ კვლევაში გამომხატულ პოზიციას. განსაკუთრებით ხაზგასმულ იქნა შემდეგი პუნქტები, რომელთა შესრულებაშიც თავად აპირებენ მონაწილეობის მიღებას:

- ქალების ჩართვა მოლაპარაკებების პროცესში კონფლიქტის მოგვარების საკითხზე ახალი ხედვების გამოვლენის თვალსაზრისით;

- საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება მოსახლეობასთან, რათა დაფიქსირდეს ადამიანების აზრი კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით;

- ახალგაზრდული რესურსის გამოყენება. ახალგაზრდები სავსენი არიან კრეატიული იდეებით და ენთუზიაზმით მათ განსახორციელებლად. მზად არიან, ისწავლონ და აქტიურად ჩაერთონ პროცესში.

სივრცე ჩვენს შორის - რამდენიმე დღე კვიპროსში

ფონი და ადგილი ქართულ-აფხაზური შეხვედრისთვის

ლალი შინგალია
საინფორმაციო სექტორის რედაქტორი

რატომ კვიპროსი?

ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყველა უბედური ოჯახი კი თავისებურადაა უბედურიო, უთქვამს დიდ მწერალს, ლევ ტოლსტოის.

ასე არიან სახელმწიფოებიც. ბედნიერი, განვითარებული, მოწესრიგებული ქვეყნები ერთმანეთს ჰგვანან. დანარჩენები კი, განსაკუთრებით კონფლიქტური ქვეყნები - თითქოს განსხვავდებიან თავიანთი უბედურებებით, პრობლემებით. ყველა კონფლიქტს თავისი მიზეზი აქვს, თავისი ფესვები, განვითარება, მოგვარების გზები... განსხვავებულია, მაგრამ ბევრი საერთოს პოვნაც შეიძლება.

ფონდი „სოხუმის“ სამშვიდობო სტრატეგიაში სხვა კონფლიქტების გაცნობა ერთ-ერთი სერიოზული და საგულისხმო საქმეა. პირველი წიგნი, რომელიც ფონდმა 2002 წელს გამოსცა, იყოსინთია კოკბერნის „სივრცე ჩვენს შორის“-წიგნი მშვიდობისმყოფელ ქალებზე, მათ ერთობლივ საქმიანობაზე, კონფლიქტის მოგვარების მცდელობებზე, ბოსნიელი, ებრაელი, პალესტინელი ქალების სამშვიდობო გამოცდილებაზე.

ამ წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა ყველა ფონდელზე. და სწორედ იმ წლებიდან დაიწყო ძიება სივრცისა, რომელიც ყოველთვის არის და უნდა იყოს კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფ ადამიანებს შორის - სივრცე დიალოგისთვის, მოლაპარაკებისთვის, გამოსავლის ძიებისთვის.

სწორედ იმ დროიდან მოყოლებული, ფონდი „სოხუმი“ აფხაზეთში მოქმედ პარტნიორ ქალთა ორგანიზაციებთან ერთად სწავლობს

კონფლიქტების გამოცდილებას. იყო ვიზიტები ჩრდილოეთ ირლანდიაში, ისრაელში, ბოსნიაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, სერბეთში... ზოგს რომ სასიამოვნო მოგზაურობები ჰგონია მხოლოდ, ეს არის დაძაბული დღეები, როცა შეხვედრის მონაწილეები საკუთარი კონფლიქტის პრიზმაში ხედავენ სხვა ქვეყნის კონფლიქტს, როცა თითქოს ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს: დედების სამშვიდობო განწყობა, მეომრების საბრძოლო ჟინი, ტრაგედიები, მერე კი - მშვიდობის გზების ძიება.

სწორედ ამიტომ კვიპროსი...

10 წლის წინ, ფონდი „სოხუმი“ პარტნიორ აფხაზ ქალებთან ერთად იმყოფებოდა ამ კუნძულზე. ამაღელვებელი და დაუვინყარი იყო შეხვედრა ადგილობრივ მშვიდობისმყოფელ ქალებთან. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრა ნიქოზიის ორ ყოფილ მერთან. და მათი მონათხრობი: როგორ გამოვიდა მწყობრიდან საკანალიზაციო სისტემა. ნიქოზია კონფლიქტის შედეგად გაყოფილი ერთადერთი დედაქალაქია მსოფლიოში. რა თქმა უნდა, ორი მერი ჰყავს - თურქულ მხარეს და ბერძნულ მხარეს. მაშინ, როცა საკანალიზაციო სისტემა გაფუჭდა, სხვა გზა არ დარჩა, ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ, ერთად ეფიქრათ გამოსავალზე. რადგან, როგორც მწარე ხუმრობით აღნიშნეს, კანალიზაცია ორივე მხარეს ერთნაირად ყარს...

ასე ერთნაირია სხვა პრობლემებიც ორივე მხარეს და ძალიან ხშირად, უერთმანეთოდ ჭირს კიდევ მათი მოგვარება.

მოკლედ... 10 წლის თავზე ისევ ჩავედით კვიპროსში. 10 ქალი - ფონდი „სოხუმიდან“. ათიც - აფხაზეთის ორგანიზაციებიდან.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეხვედრა.

და, რასაკვირველია, შედარება, გამოცდილების მიღება, კონფლიქტის გაკვეთილები და სამშვიდობო ინიციატივები.

კვიპროსის გამოცდილება

მოკლე ისტორია ასეთია: 1960 წლის 16 აგვისტოს კვიპროსი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, სექტემბერში გაეროს წევრი გახდა. 1963 წელს რეაქციულმა ძალებმა გამოიწვიეს შეირაღებული შეტაკება ბერძნულ და თურქულ თემებს შორის. 1974 წელს კუნძულის ჩრდილოეთში თურქეთმა გადმოსხა თავისი შეირაღებული ძალები და მოახდინა მისი ოკუპაცია. 1976 წელს გამოცხადდა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“.

40 წელია, კვიპროსი კონფლიქტს აგვარებს. კუნძული ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. თითქოს მიღწეულია შეთანხმება ერთიანი ქვეყნის ფედერაციული მოწყობის შესახებ, მაგრამ ვერ თანხმდებიან მისი სტრუქტურის თაობაზე. არის პრობლემები, რომელთა მოგვარება ჭირს - მაგალითად, ბერძენი კვიპროსელების დაბრუნება იმ ადგილებში, საიდანაც თურქმა კვიპროსელებმა განდევნეს. მათთვის წართმეული ქონების კომპენსაციის საკითხი. ან იმ ასი ათასზე მეტი ადამიანის საკითხი, რომლებიც თურქეთმა ჩაასახლა თურქული ნაწილის გასამყარებლად. კვიპროსის რესპუბლიკა ევროკავშირის წევრი გახდა, ანუ, როგორც ამბობენ, მხოლოდ მან მიიღო პრიზი და განზე დარჩა კუნძულის ჩრდილოეთი, მხოლოდ თურქეთის მიერ აღიარებული ნაწილი, რომელიც ეკონომიკურ და პოლიტიკურ იზოლაციაში იმყოფება.

რა ხდება ადამიანური ურთიერთობების დონეზე?

ადამიანები არ ელოდებიან პოლიტიკურ გადანყვეტილებებს, მუშაობენ, ითხოვენ, თანამშრომლობენ, ერთმანეთისკენ სავალ გზებს ეძებენ.

ყველაზე მთავარი სწორედ ეს არის - ადამიანური ურთიერთობები. ამ ურთიერთობებზე ვსაუბრობდით ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეხვედრების დროს. თანამშრომლობის სახლი ბუფერულ ზონაში მდებარეობს, ეგრეთ წოდებულ მწვანე ხაზზე. აქ არის სხვადასხვა ორგანიზაცია. მათ შორის - ისტორიული კვლევების ასოციაცია, რომელიც ცდილობს საერთო ისტორიის დაწერას, რადგან კუნძულის სხვადასხვა მხარეს სხვადასხვანაირი ისტორია მიენოდება მოსწავლეებს.

აქ მუშაობენ გენდერული მიმართულებით, სამშვიდობო კუთხით. მაგალითად, ერთ-ერთი პროექტია „სამშვიდობო ბუსი“ - სხვადასხვა ადგილას ჩადიან ავტობუსით და ატარებენ შეხვედრებს მოსახლეობასთან.

თანამშრომლობის სახლში ერთმანეთს ხვდებიან ბერძენი და თურქი კვიპროსელები. არის საქმიანი შეხვედრებიც და უბრალოდ, ერთმანეთს მონატრებული ადამიანების შეხვედრებიც, როცა სხედან ღია აივანზე და საუბრობენ ფინჯან ყავასთან.

მედიაცენტრი - პირველი თემთაშორისი ორგანიზაციაა. ისიც ბუფერულ ზონაშია. შეიქმნა 2009 წელს. მას აქვს რადიო, რომელიც ბევრ ენაზე მაუწყებლობს. ეს კუნძულისთვის მნიშვნელოვანია, რადგან აქ შეუძლია მოვიდეს ყველა, ვისაც რაიმეს თქმის და სხვებისთვის გაზიარების სურვილი აქვს. რა თქმა უნდა, სამშვიდობო რადიოა და მისი საშუალებით კუნძულის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებნი ერთმანეთს სამშვიდობო მესიჯებს უგზავნიან.

ორგანიზაცია „ქალაქის პარტიზანები“ აქტივისტებმა 2013 წელს შექმნეს. ისინი ახალ სიცოცხლეს აძლევენ ქალაქის საჯარო ადგილებს ლარნაკაში, ნიქოზიაში, ლიმასოლში. აწყობენ ინსტალაციებს, პრეზენტაციებს, სანახაობებს, სპექტაკლებს, კონცერტებს. ერთხელ ლარნაკაში, ზღვის სანაპიროზე დიდი სუფრა გაშალეს. ეს წინასწარ იყო გამოცხადებული სოციალური ქსელით და ბევრი ადამიანი ჩაერთო. ხალხს თავისი სადილი მოჰქონდა და ერთად მიირთმევდნენ, ლაპარაკობდნენ. ერთხელაც სახლის სახურავზე მოაწყვეს ვახშამი. სხვადასხვა მხარის სახურავებზე ისხდნენ. იყო ვიზუალური კონტაქტი, ვორკუპი, სკაიპით ჩართვა. და შეგრძნება, რომ ყველა ერთადაა...

ერთ დღესაც ასეთი რამ მოიფიქრეს: ყველა სახლის ჭიშკარი გაიღო, სახლებში რალაც აქტივობები ხდებოდა. ადამიანები ეზოებში შედიოდნენ, ერთმანეთს ესალმებოდნენ, ურთიერთობდნენ.

კიდევ: მოხატეს კედელი, რომელიც გამყოფ ზოლზე გადის... ანუ, იწყებოდა ნახატი და გზადაგზა აგრძელებდნენ, ასე მოიხატა მთელი გალავანი.

ბავშვებთან დაკავშირებულ აქტივობებზეც საინტერესო ამბები გავიგეთ. ბავშვები ერთად თამაშობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მეგობრობდნენ. არ იყო ლაპარაკი პოლიტიკაზე, კონფლიქტზე. უბრალოდ, სპორტის დახმარებით ბავშვების დაახლოება ხდებოდა. პროექტს ერქვა „მშვიდობის მოთამაშეები“. შეჯიბრებების შემდეგ იყვნენ გამარჯვებულებიც და დამარცხებუ-

ლებიც. მაგრამ მთავარი ის არის, რომ გუნდი ყოველთვის შერეული იყო და გულისტკენა არ რჩებოდა.

მოზრდილთათვის სხვა პროგრამები აქვთ - ერთად უშვებენ ბანაკებში, სასწავლო ვიზიტებს ახორციელებენ.

ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებენ, რაც ადამიანებს აერთიანებთ. და ამაში ყველა ჩართულია - არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოების აქტიური წევრები, ორივე მხარის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ახალგაზრდები. იხარჯება საერთაშორისო დონორების და სამთავრობო თანხები.

2003 წლამდე შეხვედრის შესაძლებლობა არ ჰქონიათ. იყო ერთი გამშვები პუნქტი, გამკაცრებული პირობებით (ადამიანებს ესროდნენ კიდევ იმ პირობით საზღვარზე,

შეხვედრები, გამოცდილების მიღება



თუნდაც ფოტოს გადაღებისთვის). ახლა კი ბევრი გამშვები პუნქტია. მაგალითად, მიუყვები განიერ ქუჩას, რომელზეც ბრენდული მაღაზიები და ლამაზი კაფეებია განლაგებული. მიდიხარ და უცებ - გამშვები პუნქტი! აქეთ მხარეს. იქით მხარეს. პოლიციელები რიგებს აკონტროლებენ, მესაზღვრეები საბუთებს ამოწმებენ. ადამიანები კი მიდიან და მოდიან შეუზღუდავად - ტურისტებიც, ჩამოსულებიც. თვითონ კუნძულის მცხოვრებნიც ბლომად არიან: მიდიან ერთმანეთთან შესახვედრად, საყიდლებზე, სამუშაოდ, პაემანზე...

- მე ვაჟიშვილი მყავს, სოფიას - ქალიშვილი. ჩვენი შვილები ერთად თამაშობენ. 2003 წლამდე ეს შეუძლებელი იყო, - ამბობს ერთ-ერთი ჩვენი მასპინძელი ქალი.

- მშვიდობისთვის მთავარია, ერთმანეთის გესმოდეთ, ერთმანეთის ისტორიები გაიზიაროთ. მშვიდობა გლობალური ცნებაა. თუ სადღაც არ არის მშვიდობა, ესე იგი, მშვიდობა არ არის არსად! - ასეთია კიდევ ერთი მშვიდობისმყოფელის აზრი.

- რაც შეიძლება მეტი კონტაქტი უნდა იყოს, მეტი გამშვები პუნქტი გახსენით, ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება უნდა ჰქონდეთ, - გვირჩევს მესამე.

ჩვენ

ასე მუშაობენ ორივე მხარეს მცხოვრები კვიპროსელები, კონტაქტებს აფართოებენ, ყველა ურთიერთობს ერთმანეთთან - ყოფილი მეგობრები და მეზობლები, ქალები, ბავშვები, ახალგაზრდები... გეგონება, უკვე შესარიგებელიც არავინ დარჩა.

კვიპროსი იყო ფონი, ადგილი, მთავარი კი მაინც ჩვენი, ქართულ-აფხაზური შეხვედრა იყო. შეხვედრას ახლდა დაძაბულობა, მაგრამ იგრძნობოდა კეთილგანწყობა. ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ პროექტის ფარგლებში განეული მუშაობა: ტრენინგები თუ ვორკშოპები, ჩატარებული კვლევები და მათი პრეზენტაციები, მრგვალი მაგიდეები.

აფხაზი პარტნიორების კვლევაში განხილულია ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესი, მისი ეტაპები, მიღწევები,

პრობლემები, ჟენევის დისკუსიები და ქალთა როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში.

ჩვენი კვლევა „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, კონფლიქტის მოგვარების მიმართ მიდგომების ხელახლა გააზრება და ახალი ვექტორები მისი ტრანსფორმაციისთვის“ საკმაოდ სერიოზულად და ინტერესით მიიღეს ჩვენმა პარტნიორებმა, განსაკუთრებით - მომავალი მუშაობის კუთხით.

შემდგომი საქმიანობისა და ენგურს გაღმა-გამოღმა არსებული მთავრობების წინაშე ადვოკატირებისთვის ბევრი საკითხიც დაისვა. განსაკუთრებით გალის რაიონის მოსახლეობის პრობლემების თაობაზე. ეს ის საკითხებია, რომლებზეც ყოველთვის დიდ აქცენტებს აკეთებდა ჩვენი ორგანიზაცია და ბოლო კვლევაშიც აისახა: უპასპორტოდ დარჩენილი მოსახლეობა. 2011 წლის სექტემბრიდან გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე გაუქმებული ქართული სკოლები. 2017 წლის თებერვლიდან ენგურის ხიდზე დატოვებული ერთადერთი გადასასვლელი პუნქტი. მოკლედ, მშობლიურ ენაზე სწავლების, გადაადგილების, სამედიცინო მომსახურების შეზღუდვა. განსაკუთრებული სიმწვავეით დაისვა აზიური ფაროსანას საკითხი. ეს ამჟამად პირველხარისხოვანი პრობლემაა აფხაზეთში (და დანარჩენ საქართველოში). მან გაანადგურა თხილის მოსავალი, სიმინდი, ხილი... ამ მავნებლის წინააღმდეგ ერთობლივად, სასწრაფო და ეფექტური ზომები თუ არ იქნა მიღებული, ფაქტობრივად, სასწორზე დადგება იმ ადამიანების დარჩენა გალის რაიონში, ვინც იქ წლებია ცხოვრობს. ვინც ამ წლების მანძილზე იტანს ბევრ უუფლებობას და სიძნელეს, მაგრამ მაინც არ ეთმობა დასატოვებლად იქაურობა. ამ საქმეს ნიქოზიის ორი მერის მიერ მოგვარებულ პრობლემას შევადარებდი. ამიტომაც ორივე მხარეს უნდა ვეცადოთ ამ საკითხის ადვოკატირებას...

კვიპროსის შემდეგ

კვიპროსზე ნოემბრის დასაწყისში გაიმართა შეხვედრები. ამ ვიზიტს სხვადასხვა შეფასება მოჰყვა. აფხაზეთის ზოგიერთმა

კვიპროსი - ასეთი
განსხვავებული: ლაღიც
და სევდიანიც. მზიანი
სანაპირო. ათეული წლის
ნინ დანგრეული შენობა
ბუფერულ ზონაში.
გამშვები ბუნქტი სავაჭრო
ქუჩის ბოლოს. გზა,
რომელიც ნიქოზიის
პეორე ნაწილისკენ მიდის.
და ნარნერა კედელზე:
ერთი, ერთიანი კვიპროსი



წარმომადგენელმა გააკრიტიკა თავისი თანამემამულეები, იმიტომ, რომ ისინი ქართველებს ხვდებიან და თითქოს ცდილობენ, ქართული გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე, ახალგაზრდებზე.

ჩვენს საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, მიესალმებიან ნებისმიერი ფორმატით გამართულ ყველა შეხვედრას, დიალოგს. რადგან სახელმწიფოს სამშვიდობო კურსი აქვს და ადამიანებშიც მშვიდობისმოსურნე განწყობაა. ეს კარგად გამოჩნდა ჩვენი ინიციატივით თბილისში გამართულ მრგვალ მაგიდაზე - ეს იყო ერთგვარი ანგარიში საზოგადოების წინაშე (ამა-

ზე არის სტატია ჟურნალში). ამას გარდა, შეხვედრების მონაწილეებმა ტელეკომპანია „რიონის“ ეთერით გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები რეგიონალურ მაყურებელს...

კვიპროსული გამოცდილება მიღებულია. ბევრი რამაა დასაფიქრებელი და ბევრი რამის გამოყენება შეიძლება პრაქტიკაში. ამ პატარა პროექტის შეჯამებისას კიდევ არაერთი იდეა გაჩნდა. ყველა იდეას არ უნერია ხოლმე განხორციელება. ზოგს დაბრკოლებები ხვდება. ზოგი კი შესრულდება. მთავარია, როგორ გამოვიყენებთ სივრცეს ჩვენს შორის...

ფრაგმენტები ესედან

მარიამ ჩარქაზია

ტრენინგის მონაწილე (ქუთაისი)

მე მარიამ ჩერქეზია ვარ, აფხაზეთიდან დევნილი. ჯერ მხოლოდ 16 წლის ვარ, მაგრამ ჩემთვის სულერთი არ არის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თემა. ბუნებით პატრიოტი ვარ და ეს საკითხი ჩემთვის პირველ ადგილზე დგას. ბავშვობიდან ვეკითხებოდი მშობლებს, ბებიებს და ბაბუებს აფხაზეთზე და იქ მცხოვრებ ადამიანებზე, მის წარსულსა და დღევანდელი მდგომარეობაზე. კონფლიქტის შედეგად ჩემი მშობლების ოჯახებმა დატოვეს იქაურობა. ძნელი იყო მათთვის წამოსვლა აფხაზეთიდან. ისინი ხომ იქ დაიბადნენ, გაიზარდნენ, მომავალზე ფიქრობდნენ... მაგრამ ახლა ისინი აქ არიან და ცხოვრება ნულიდან დაიწყეს.

ყველაზე მეტად მამაჩემის დედის მოსმენა მიყვარს. ის აფხაზია და ეს ჩემთვის განსაკუთრებული რამაა. ინტერესით ვუსმენ მის მონათხრობს აფხაზურ ადათ-წესებზე, მშვიდობიან ცხოვრებაზე, როცა ქართულ-აფხაზური ოჯახები იქმნებოდა. მე მაქვს კავშირი აფხაზეთში მცხოვრებ ნათესავებთან, მაგრამ, იმედია, მომავალში მათ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შევხვდები.

შეუძლებელია ათწლეულობით ერთმანეთის გვერდით მცხოვრები ადამიანების ურთიერთობების აკრძალვა და არც ერთ ძალას არ ძალუძს ამ ძაფის განყვეტა. ფინდი „სოხუმის“ პროექტის წყალობით მე ბევრი ახალი და საჭირო ინფორმაცია მივიღე კონფლიქტის თემაზე. გავიცანი თანატოლები, რომელთაც ჩემსავით აინტერესებთ ეს საკითხები, თუმცა ყველა არ არის აფხაზეთიდან. ისინი ჩვენი ქვეყნის რიგითი მოქალაქეები არიან, რომელთაც სამართლიანი და მშვიდობიანი წარსულის დაბრუნება სურთ. და მათ არ უნდათ ომი.

პროექტის ფარგლებში შეხვედრების დროს სხვადასხვა ჯგუფურ თამაშს ვატარებდით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თემაზე, ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს აზრებს. ისეთი იდეები გვიჩნდებოდა, რომელთაც მართლაც შეუძლიათ ბევრი რამის შეცვლა, მაგრამ ამისთვის დროა საჭირო. კონფლიქტის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია მოლაპარაკებები, მოლაპარაკებებში კი - კომუნიკაცია.

ქართველი ახალგაზრდობა მზადაა, იზრუნოს და იპრობოს მშვიდობიანი მომავლისთვის. რა თქმა უნდა, უფროსი თაობის მხარდაჭერა გვინდა. ჩვენთვის დამნაშავე არ არის მხოლოდ ერთი მხარე. ორივეს ვადანაშაულებთ. ჩვენი სურვილია აფხაზ თანატოლებთან შეხვედრები და ურთიერთობები. არ გვინდა უსიამოვნო წარსულის, ომის, კონფლიქტის გახსენება, დამნაშავეების ძიება. ჩვენ ნათელი მომავლის შენება გვსურს.

წარსულს ვერ შევცვლით. ახლა აწმყო და წინ მომავალი გველოდება, რომელიც ჩვენს ხელშია.

ჩვენ ის თაობა ვართ, რომელსაც ბევრის შეცვლა შეუძლია.

კიდევ ერთი სივრცე დია სამოქალაქო დიალოგისთვის

შემაჯამებელი პრეზენტაცია თბილისში

ნაა კამკია
პროექტის ასისტენტი

7 დეკემბერს, თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ფონდი „სოხუმის“ ახალი კვლევის „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, კონფლიქტის მოგვარების მიმართ მიდგომების ხელახლა გააზრება და ახალი ვექტორები მისი ტრანსფორმაციისათვის“ პრეზენტაცია გაიმართა. კვლევის ავტორია ეკატერინე გამახარია, რომელსაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თემასთან დაკავშირებული სხვა არაერთი ნაშრომი ეკუთვნის.

პრეზენტაციას ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, ქვეყანაში აკრედიტებული საელჩოების, სახელმწიფო სტრუქტურების, ომბუდსმენის აპარატის, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ასევე - დევნილთა თემის ნაწილი ესწრებოდა.

შეხვედრის დასაწყისში ფონდი „სოხუმის“ ხელმძღვანელი ალლა გამახარია და საინფორმაციო სექტორის რედაქტორი ლალი შენგელია შეეხნენ ორგანიზაციის სამშვიდობო საქმიანობის თითქმის ოცნლიან ისტორიას, რომელშიც ამოსავალი ყოველთვის იყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების და სამშვიდობო პროცესში ქალების, ახალგაზრდების ჩართვის, მათი ინიციატივების, საჭიროებების ადვოკატირების საკითხი. სახალხო დიპლომატიის, ქალთა სამშვიდობო რესურსის გამოყენება ნდობის შენების, ქართული და აფხაზური საზოგადოებების დაახლოების საქმეში, მსოფლიოში არსებული მოდელების გაცნობა-შესწავლა.

ითქვა, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თემა - ზოგჯერ აქტუალური და ფორსირებული, ზოგჯერ მივინყებული და სტაგნაციაში მყოფი, ძირითადად მაინც - არაპოპულარული, ყოველთვის ცოცხალია, მტკივნეულ ნერვად ფეთქავს ორგანიზაციის ცხოვრებაში. ის თვალსაჩინოა განხორციელებულ საქმიანობებში: რთულ, ზოგჯერ უმძიმესი ემოციებით გაჯერებულ ერთობლივ შეხვედრებში აფხაზურ მხარესთან; სისტემატიურად ჩატარებულ საგანმანათლებლო ტრენინგებში ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით; მეთოდურ სახელმძღვანელოებში. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კვლევებს, რომლებიც ყოველთვის არის გამოტანილი ფართო საზოგადოების სამსჯავროზე, მათგან შესაბამისი უკუკავშირის მიღების მიზნით. ისინი მეტწილად ყველაზე აქტუალურ საკითხებს ეხება, ინოვაციურია, კონფლიქტების მოგვარების გზებზე დიალოგის, დისკუსიების დასაბამია.

ლალი შენგელია: „შეხვედრის მონაწილეებს ამჯერად წარმოვუდგინე მორიგ კაბინეტურ კვლევას ან „ანალიტიკურ სტატიას“, როგორც მას ავტორი ეკატერინე გამახარია უწოდებს. სათაური ცხადყოფს, რომ ის არის მცდელობა, მოხდეს კონფლიქტის მოგვარების მიმართ მიდგომების ხელახლა გააზრება და გამოიკვეთოს ახალი ვექტორები მისი ტრანსფორმაციისათვის. კვლევის ირგვლივ სამოქალაქო დისკუსიები უკვე დაწყებული

ლია და დღევანდელი შეხვედრა კიდევ ერთი მცდელობაა, გაფართოვდეს სივრცე დიპლომატიის, რათა მიეცეს ბიძგი საკითხის „გაყინული კონფლიქტის“ და „სტაგნაციის“ მდგომარეობიდან დაძვრას“.

ავტორმა ეკატერინე გამახარია შეხვედრის მონაწილეებს კვლევის შედეგად გაკეთებული ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები წარუდგინა. როგორც მან შესავალ საუბარში აღნიშნა, კვლევა მიმართულია კონკრეტულ მოქმედებებზე, რაც არ არის ორიენტირებული შედეგებზე. მას შეიძლება გააჩნდეს პოლიტიკური კურსის თანხვედრი, არაპოპულარული და არამეინსტრუმული მიდგომები, მაგრამ გამოყოფს ყველა ძირითად ფაქტორს და წინააღმდეგობას, რომელიც ხელს უშლის კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას.

ეკატერინე გამახარია: „ჩვენთვის ამოსავალი წერტილი იყო, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტის პერსპექტივა განგვეხილა სწორედ კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის პრიზმაში, რაც განსხვავებით კონფლიქტის მოგვარების და დარეგულირებისგან, ვერ გვთავაზობს სწრაფ და წინასწარ დადგენილ და განსაზღვრულ გადაწყვეტილებას და ღია შედეგებს მოიაზრებს. ტრანსფორმაციის არსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის არის აგებული კარგად გააზრებულ, თანმიმდევრულ და პრაგმატულ ქმედებებზე, პროცესზე, რომელიც მიმართულია კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილების, მათ ცხოვრებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის, ზოგადად, საზოგადოების განვითარებისა და მდგრადი მშვი-

დობის შენებისკენ და მხოლოდ ამის მერე მოიაზრებს საბოლოო შედეგის განსაზღვრას“.

კვლევის ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „კონფლიქტების გადაწყვეტას ჩვენ ხშირად ვინცებთ სახურავით, ამიტომაც ვანყდებით პრობლემებს. ჩვენი მიდგომა, მიზანია - კრიტიკულად და ობიექტურად შევხედოთ განვლილ გზას, შეცდომებს, რომლებიც გვამყოფებს გაყინული კონფლიქტის მდგომარეობაში. ჩვენ არ გვაქვს „მზა“ რეცეპტი - კონფლიქტის მოგვარების თაობაზე. მაგრამ გვაქვს ამბიცია - გავხსნათ სივრცე სენსიტიური საკითხების ირგვლივ დისკუსიისთვის. მათ, ვისაც სურს ჩიხიდან გამოსვლა, მეტი გამბედაობა მართებთ, რათა პროცესი ადგილიდან დაიძვრას. აფხაზური მხარის წარმომადგენელმა ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა: როცა რაღაც რაციონალური გამოიკვეთება, ჩვენ ჯერ უარს ვამბობთ ამაზე, შემდეგ კი ვუბრუნდებით, მაგრამ უკვე გვიანია. ამას ჩვენ „დაგვიანებული მატარებლის“ პროცესი დავარქვით“.

მკვლევარი შეეხო ყველა საკვანძო საკითხს, რომელიც ხელს უშლის ქართველებსა და აფხაზებს შორის ნებისმიერი შეთანხმების მიღწევას. პირველ რიგში - მხარეებისთვის პოლიტიკური სტატუსების საკითხებზე პოზიციების შეუთავსებლობა და შეუთანხმებლობა საქართველოს სახელმწიფოებრივი მონყობის მოდელზე; ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების მიმართ მხარეთა განსხვავებული მიდგომები; დღევანდელ პოლიტიკურ რიტორიკაში აფხაზეთთან და აფხაზ ხალხთან კონფლიქტის არსებობის უარყოფა / არაღიარება. საკითხის დაყენება შემდეგნაირად: „აფხაზეთის იზოლაცია თუ რუსეთისკენ ფართოდ გაღებული კარი“; „გალის რაიონი - „აქილევსის ქუსლი“ თუ - რესურსი თანამშრომლობისთვის.

პრეზენტაციაზე ავტორმა ისაუბრა საკითხზე, რას იძლე-

ვა სამშვიდობო პერსპექტივაში მიდგომა - „სუვერენიტეტის არალიარება, მაგრამ აფხაზეთთან კონფლიქტის აღიარება“; აფხაზეთის უფრო აქტიური ჩართვა და თანამშრომლობა ევროპულ სტრუქტურებთან, როგორც ეფექტური ტრანსფორმირება ევროპის პოლიტიკისა „ჩართულობა აღიარების გარეშე“, რომელიც ჯერ არ არის ამოქმედებული სასურველი მოცულობით. ისაუბრა, რამდენად აუცილებელია ამ სტრატეგიის პოტენციალის და შესაძლებლობების აღიარება და მისი მიზნების და ამოცანების ნეიტრალური და აპოლიტიკური შინაარსით შევსება.

შემდეგ იყო კითხვები და ძალიან გულწრფელი დიალოგი.

შეხვედრის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ნაშრომს. ზოგი მათგანის აღნიშვნით, მიუხედავად საკითხებისა, რომელთა მიმართ, შესაძლებელია, მათ განსხვავებული მიდგომები ჰქონდეთ, ისინი გულმოდგინედ გაეცნენ კვლევას, რომელზეც უკვე ბევრჯერ სმენიათ და დიდი ინტერესით ელოდებოდნენ შეხვედრას. იყო რიგი მოსაზრებები, რომ რთული იქნება დიალოგის დაწყება ისე, რომ ის დისტანცირებული იქნას სტატუსის საკითხისგან და

არ შეეხოს კონფლიქტის მოგვარების საბოლოო მიზნებს - როგორც ეს ანალიტიკურ სტატიაშია გააზრებული.

დისკუსიის მონაწილეები მიესალმებიან საუბრის დაწყებას გადაადგილების თავისუფლებაზე აფხაზეთის ყველა მცხოვრებისთვის, მისი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, უსაფრთხოებას, განვითარების პროგრამებს, ჯანდაცვას, ეკონომიკურ თანამშრომლობას, განათლებას, სტუდენტთა გაცვლას, სახალხო დიპლომატიის უფრო აქტიურად ამუშავებას; ქალთა როლის ამაღლებას; ქალთა ინიციატივების მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია ქალთა საჭიროებებზე და მათ ცხოვრებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტაზე.

მერი გელაშვილი: „მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ სახალხო დიპლომატიის რესურსი იმისთვის, რომ მოხდეს, თუნდაც პარალელურ რეჟიმში, გარკვეული საკითხების ადვოკატირება. მაგალითად, ქართულ მხარეს მოხდეს იმ საკითხის გააქტიურება, რომ აფხაზი ახალგაზრდები მოვწყვიტოთ რუსულ ორბიტას, გაუფხსნათ კარი ევროპისკენ; თავის მხრივ, აფხაზეთში სამოქალაქო სექტორი სულ უფრო და უფრო აქტიურად ჩაერთოს გალის რაიონის ქართული მოსახლეობისთვის საჭიროებო პრობლემების მოგვარებაში. ნიშანდობლივია, რომ აფხაზური მხარის იმ წრეებში, რომელთაც არ სურთ ქართული და აფხაზური საზოგადო-



ებების დაახლოება, მიუღებელია და საშიშროებად აღიქმება ყოველი ახალი ნაბიჯი, რომელსაც ამ საზოგადოებების წარმომადგენლები ერთმანეთისკენ დგამენ“.

კვლევაში დასმული თემების ირგვლივ დისკუსია, ფაქტობრივად, შეხვედრაზევე დაიწყო: იყო აზრთა სხვაობა საკითხზე: „რამდენად მართებულია მოხდეს აფხაზეთის დეიზოლაცია ან აფხაზეთს მიეცეს განსაზღვრულ სფეროებში ევროპასთან ურთიერთქმედების და თანამშრომლობის შესაძლებლობა ისე, რომ არ სჭირდებოდეს საქართველოსგან ნებართვის აღება - ანუ არსებობდეს საქართველოს ნება და არა ნებართვა!“ უნდა გადაიხედოს და შერბილდეს თუ არა საქართველოს მიდგომები ამ საკითხის მიმართ? შეცვლის თუ არა აფხაზეთისთვის ევროპული კარის შემოღება შეხედულებებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე?

კვლევის ავტორმა აღნიშნა, რომ ევროპიზაცია, დემოკრატიზაცია, მოდერნიზაციის დასავლური რესურსების ხელმისაწვდომობა პოზიტიურად აისახება აფხაზური საზოგადოების ფასეულობათა სისტემაზე. ევროკავშირის და სხვა ქვეყნების უფრო მჭიდრო თანამშრომლობა აფხაზეთთან ასევე ხელს შეუწყობს კანონის უზენაესობას და დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრებას აფხაზეთში, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს იმ ინსტიტუტების გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი მოსახლეობის უფლებების დაცვის პასუხისმგებლობა, მათ შორის ეთნიკური ქართველების უფლებების და თავისუფლებებისა.

ავტორის მიერ ყურადღება დაეთმო ასევე აფხაზურ მხარესთან პირდაპირი პოლიტიკური დიალოგის წამოწყების აუცილებლობას და შეთანხმებების მიღწევას მთელ

სამშვიდობო საქმიანობის განხილვა



რიგ სოციალურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ საკითხებზე სტატუს ნეიტრალური მიდგომების გამოყენებით. მოყვანილ იქნა საერთაშორისო გამოცდილება, სერბეთისა და კოსოვოს შორის განხორციელებულ თანამშრომლობაზე სტატუს ნეიტრალური შეთანხმებების გაფორმების გზით, მაგ. ოფიციალური შეთანხმებები ერთმანეთთან ბიზნესის წარმოების და თავისუფალი გადაადგილების საკითხებზე. დაისვა კითხვა, რამდენად შეიძლება მსგავსი გამოცდილების გამოყენება საქართველოში, არსებული რეალობის და კონფლიქტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კითხვების ნაწილი რიტორიკული იყო და საჭიროებს საქართველოში არსებული კონფლიქტის სპეციფიკური კონტექსტის გათვალისწინებით უფრო ღრმა ანალიზს, განხილვას და გამოსავლის ძიებას. თუმცა საკითხი, რომ აფხაზებთან პირდაპირი კომუნიკაცია ნაადგება კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას, სადაო არ გამხდარა.

მონაწილეთა გამოსვლებში ითქვა, რომ აღნიშნული სტატია, უპირველესად, მიმართულია იმ ძირითადი ფაქტორების ანალიზისკენ, რომლებიც აფერხებს სამშვიდობო საქმიანობას და კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის პროცესს, რაც ჩვენს სინამდვილეში იშვიათი ფუფუნებაა. აღინიშნა, რომ პუბლიკაცია ნამდვილად არ იძლევა კონკრეტულ რეცეპტს, არამედ სთავაზობს საზოგადოებას, პოლიტიკოსებს, გადაწყვეტილების მიმღებთ - გარკვეულ მიმართულებებს და უჩვენებს შეცვლილ პარადიგმებს კონფლიქტის დარეგულირებისთვის. მასში არის მცდელობა, წამოიწყოს და გახსნას სივრცე ისეთი საკითხების განსახილველად, რომელზედაც დღეს ნაკლებად მიდის საუბარი. სწორედ ასეთი მიდგომებით შეიძლება სტაგნაციაში მყოფი პროცესის დაძვრა.

გამომსვლელები ეთანხმებოდნენ კვლევის ძირითად აზრს, რომ მნიშვნელოვანია კონფლიქტის მოგვარება განხილვოდეს, როგორც გრძელვადიანი, ეტაპობრივი და

მონესრიგებული დინამიკა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ღია შედეგები. რომ საჭიროა მხარეები, უპირველესად, შეთანხმდნენ კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის გზებსა და სტადიებზე, ვიდრე განიხილონ და შეათანხმონ საბოლოო შედეგები, რაც დღემდე მხოლოდ ჩიხში აქცევედა მოლაპარაკების ნებისმიერ მცდელობას.

სამშვიდობო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები გულისტკივილით აფიქსირებენ, რომ „კონფლიქტი აღარ არის პრიორიტეტული და აქტუალური“.

ნინო ქუთათელაძე, ინვალიდ მეომართა და დაღუპულ მებრძოლთა მეუღლეთა კავშირის თავმჯდომარე: „მე მინდა მაგლობა გითხრათ დიდი შრომისთვის. ვიზიარებ აზრს, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელია პირდაპირი დიალოგი კონფლიქტის მხარეებთან. სწორედ პირისპირ შეხვედრები გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ ერთმანეთის განწყობები, რაც არც ერთ ოფიციალურ ანგარიშში არ აისახება. აქ ახალგაზრდების ჩართულობა ახსენეს. სამხრეთ ოსეთში, ფაქტობრივად, არ არიან ახალგაზრდები. ეს ომის სასტიკი და შეუქცევადი შედეგია“.

ნაირა ბეპიევამ (ა(ა)იპი „კავკასიური მოზაიკა“) არა მარტო კონკრეტულ საკითხზე მუშაობა დაინახა, არამედ - სამშვიდობო მოძრაობის ახალი ტალღა, რომელშიც ფონდი „სოხუმი“ ყოველთვის ავანგარდში იყო: „ჩვენ არა ვართ ისეთი გულუბრყვილოები, რომ გვგონია, მოვავარებთ კონფლიქტს, ეს ილუზია არ გვაქვს, მაგრამ მინავლული კონფლიქტის გულგრილად ყურება - დიდი შეცდომაა. მე მიმაჩნია, რომ არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა, ჩვენ არ უნდა შევწყვიტოთ სამშვიდობო ძალისხმევა. პირველ რიგში, აფხაზ და ოს ახალგაზრდებს დავეხმაროთ, ქართველ ახალგაზრდებთან ერთად მიიღონ განათლება ევროპაში.“

დისკუსია შეეხო აფხაზი ახალგაზრდებისთვის ევროპული განათლების მიღება-

ში სახელმწიფო ხელშეწყობის საკითხსაც. ითქვა, რომ არაეფექტურია სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც კონფლიქტური რეგიონების ახალგაზრდებს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის წინაპირობებს უქმნის. ამიტომ მათი ქართულ სივრცეში ინტეგრაციის შესაძლებლობები კიდევ უფრო მცირდება.

იყო მოსაზრება, რომ, მართალია, 2008 წლის აგვისტოს ომმა ძირეულად შეცვალა კონფლიქტის მხარეების განლაგება და, ერთი მხრივ, გამოკვეთა და ეჭვგარეშე დატოვა რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონში თავისი გავლენის შენარჩუნების სურვილი, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ფართო გეოსტრატეგიულმა პაექრობამ სრულიად გადაფარა კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის. დაგვაშორა პირდაპირ დიალოგს ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული უთანხმოების შემცირების თაობაზე.

შეხვედრის ზოგიერთი მონაწილე, რომელიც სახელისუფლებო სტრუქტურას წარმოადგენდა, მთელ რიგ საკითხებში იზიარებდა კვლევაში ასახულ პოზიციას, თუმცა გამოკვეთეს ერთეული, მათთვის მიუღებელი მოსაზრებები. მაგალითად, ისინი არ თვლიან, რომ აუცილებელია დღეს აფხაზეთის კონფლიქტის მხარედ აღიარება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა აფხაზები რუსეთის პოლიტიკის ნების გამოხატველები არიან და აფხაზეთში დღეს თანდათანობით უმცირესობას წარმოადგენენ. გარდა ამისა, არ დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ ქართული მხარე ხელს უწყობს აფხაზეთის იზოლაციას და საპირ-ნონედ მოიყვანეს ოფიციალური პოლიტიკა აფხაზი მოსახლეობისთვის ჯანდაცვის სისტემით თავისუფლად და უფასოდ სარგებლობის შესაძლებლობის სახით. ასევე გამოკვეთეს ქართული მხარის ნაბიჯები და თანამშრომლობა აფხაზეთთან აფხაზური ენის დაცვის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, ისინიც აღიარებენ, რომ კვლევითი საქმიანობა მოცემული მიმართულე-

ბით, ზოგადად, დიდი პრობლემაა ქვეყანაში და უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო სექტორის წვლილი ამ კუთხით.

თავიანთი პოზიციები გამოხატეს საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის გაეროს ქალთა ორგანიზაციის, Kvinna till Kvinna-ს) წარმომადგენლებმა. მათი აზრით, მნიშვნელოვანია მსგავსი შეხვედრები, კონფლიქტის მოგვარებაში ქალების, ახალგაზრდების ჩართვა. ითქვა, რომ ძნელია ბოლომდე იქნას აღქმული სახალხო დიპლომატიის წვლილი, რადგან მას არ შეუძლია მოკლევადიანი ეფექტის ჩვენება, მიუხედავად ამისა, სამშვიდობო საქმიანობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. უნდა იყოს დიალოგი იმაზე, როგორ შეიძლება უფრო ეფექტურად კონფლიქტის მოგვარებაში ქალთა ორგანიზაციების ჩართვა.

აღნიშნული შეხვედრის სახით შედგა კიდევ ერთი სამოქალაქო დიალოგი ქართულ საზოგადოებაში, პარტნიორების და სამშვიდობო პერსპექტივით დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციისთვის.

შეხვედრის ორგანიზატორებმა გულწრფელი მადლობა არ დაიშურეს ყველა იმ ორგანიზაციის მიმართ, ვინც სხვადასხვა დროს მხარი დაუჭირა ფონდი „სოხუმის“, ორგანიზაციის აფხაზი პარტნიორების ძალისხმევას, რათა გამოიკვეთოს ქართული და აფხაზური საზოგადოებების მისწრაფება მშვიდობის, სამოქალაქო კეთილდღეობის, უსაფრთხოებისკენ. სწორედ ამ მხარდაჭერამ უზრუნველყო მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალთა ჩართულობა ნდობის ხიდების შენებისთვის.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საბედნიეროდ, ერთში ყველანი ვთანხმდებით: დიალოგს, მდგრადი მშვიდობის შენებას, ახალი მიდგომების ძიებას, არსებული პოლიტიკური კონტექსტების გათვალისწინებით, ალტერნატივა არა აქვს!

აქტიური დიალოგი
იღებთ
ინიციატივები
წინადადებები



წინ ახალი გამოწვევების მოლოდინია

დოკუმენტური ფილმი, რომელშიც პროექტის ყველა აქტივობა აისახა

ნანა როზაძე
ტელეკომპანია „რიონის“ რედაქტორი

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი 25 წელია, დღის წესრიგში დგას. სენსიტიური თემის მიმართ სიფრთხილით მიდგომის საჭიროება ყოველთვის არსებობდა, თუმცა, კითხვის ნიშანი უამრავია წარსულთან, ან-მყოსა და მომავალთან დაკავშირებით, რომელსაც, პირველ რიგში, ხალხი სვამს, პასუხი კი იგვიანებს.

წლებია, ფონდ „სოხუმთან“ ვთანამშრომლობ. ვიცი, რამდენ ძალისხმევას დებენ მისი თანამშრომლები ამ საქმეში. ცნობილია მათი აქტივობები სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა შორის ერთ-ერთია კონფლიქტის ტრანსფორმაცია.

მუშაობის პროცესში გამოვლინდა ახალგაზრდების გონივრული, გააზრებული მიდგომები საკითხის მიმართ. ინტერვიუს ალების დროს არ დამჭირვებია ძალდატანება, საკითხზე გულახდილად ესაუბრათ, რაც ადრე ხშირად ხდებოდა. ისინი თავისუფლად გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებებს და აფიქსირებდნენ მოსაზრებებს, რაც, მათი აზრით, კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის აუცილებელია.

როგორც ახალგაზრდები აღნიშნავდნენ, ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჩატარებული ტრენინგი და ვორკშოპები - მათ ცოდნის ამალგების, ინფორმაციის მიღების და სიღრმისეული ანალიზის საშუალება მიეცათ.

თუ წლების წინ საზოგადოების დიდი ნაწილი ძალის გამოყენების აუცილებლობას მიიჩნევდა კონფლიქტის მოგვარების მთავარ ინსტრუმენტად, დღეს დიალოგის რეჟიმს თვლიან მნიშვნელოვან ფაქტორად.

განსაკუთრებული იყო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ვიზიტი კვიპროსში:



აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა, სამშვიდობო გამოცდილების გაზიარება. ერთ კუნძულზე ორი დაპირისპირებული, მაგრამ არა აგრესიული მხარე. მავთულხლართები, თუმცა თავისუფალი გადაადგილება. სხვადასხვა შეხედულებები და ბუფერული ზონა, სადაც შესაძლებელია ბერძენი და თურქი კვიპროსელების ერთმანეთთან კომუნიკაცია, მშვიდი საუბარი და სამომავლო გეგმების დასახვა.

საოცარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი, ტრანსფორმაცია მოხდა ჩემშიც, რაც აისახა სამსახურებრივ საქმიანობასა და ყოველდღიურობაზე. დაიბადა ახალი იდეები, რასაც აუცილებლად განვახორციელებ.

პროექტის შეჯამება თბილისში მოხდა. მონვეული სტუმრები გაეცნენ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. ჩვენი მომზადებული ფილმიც ვაჩვენეთ და ამან კიდევ უფრო საინტერესო გახადა ეს ღონისძიება. რა თქმა უნდა, იქაც ავიღე ინტერვიუები პარლამენტის, გენდერული თანასწორობის საბჭოს თუ გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. მათ ისაუბრეს ფონდი „სოხუმის“ წვლილის შესახებ კონფლიქტის ტრანსფორმაციაში. ფილმს ეს ახალი შტრიხებიც დაემატა და სრულად წარმოაჩინა პროექტი, რომელიც წარმატებით განხორციელდა.

წინ ახალი გამოწვევების მოლოდინია.

